

## მარიამ ორკოდაშვილი

### უარყოფის ლექსიკურ-სემანტური და კოგნიტიური მახასიათებლები

\*\*\*

თემა შეეხება *უარყოფის* ფენომენის ანალიზს ქართულ და ინგლისურ ენებში. ჩატარებულია ლექსიკური ერთეულის – „არა“-ს და მისი ინგლისური ეკვივალენტის – „No“-ს ლინგვისტური და სოციოკოგნიტიური შეპირისპირებითი ანალიზი სხვადასხვა კომუნიკაციურ კონტექსტში.

წარმოდგენილი წერილი ამტკიცებს, რომ ორივე ენაში ლექსიკური ერთეული *არა/No* არა მხოლოდ უარყოფის გამოსახატავად, არამედ მოსაუბრეთა კონკრეტული სიტუაციისა თუ კონტექსტისადმი დამოკიდებულების გადმოსაცემადაც გამოიყენება. ასეთ შემთხვევაში ენა ავლენს როგორც კომუნიკაციურ-გამომხატველობით, ასევე კოგნიტიურ ფუნქციებს. ეს უკანასკნელი მოვლენა კი აკავშირებს ინდივიდის ლინგვისტურ კომპეტენციას მის კოგნიტიურ-მენტალურ განწყობასთან და შეადგენს ლინგვისტური ანალიზის მეშვეობით აზროვნების პროცესის გაშიფვრის მნიშვნელოვან კომპონენტს.

უარყოფის ანალიზი ასევე ასახავს ურთიერთობას გრამატიკასა და მნიშვნელობას შორის. ის განიხილავს, თუ რა ურთიერთიმამართებაშია გრამატიკულ-სტრუქტურული პროცესები სემანტიკისა და პრაგმატიკის შრეებთან.

### მონაცემები და მეთოდოლოგიურ-თეორიული საფუძველი

მონაცემები და საილუსტრაციო მასალა მოპოვებულია სხვადასხვა წყაროდან: სალექსიკონო, ლიტერატურული და სამეცნიერო ტექსტებიდან, მასმედიის მასალებიდან, სხვადასხვა კონტექსტსა და გარემოებაში მიმდინარე საუბრებიდან. საერთო ჯამში 500 სხვადასხვა ტექსტი და დიალოგი გაანალიზდა.

კვლევის თეორიულ-კონცეპტუალური საფუძველი არის რე-

ლევანტურობის თეორია, კომუნიკაციის თეორია, სამეტყველო აქტების თეორია და ინფორმაციის თეორია.

## ***No/არა-ს გამოყენება ქართულსა და ინგლისურში***

### **ძირითადი სალექსიკონო მნიშვნელობა**

ფართო გამოყენების და სპეციფიკური ლინგვო-პრაგმატული ბუნების გამო, ლექსიკური ერთეული *არა/no* მრავალმნიშვნელობიანობითა (პოლისემიურობით) და მრავალმხრივი პრაქტიკული გამოყენებით (პრაგმატულობით) გამოირჩევა ქართულშიც და ინგლისურშიც.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს *არა/no*-ს ძირითადი – ფიქსირებული სალექსიკონო მნიშვნელობა. ეს არის მოსაუბრის მიერ გამოთქმული აზრის უარყოფა, რაც დასტურის ანტონიმად შეიძლება ჩაითვალოს. ასეთ შემთხვევაში *არა/no* უარყოფს ფაქტს ან კომუნიკანტის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას. მსმენელი ან არ ეთანხმება მოსაუბრის აზრს, ან შეაქვს შესწორება მოწოდებულ ინფორმაციაში. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ინგლისურ *no*-ს ამ შემთხვევაში შეიძლება ორი განსხვავებული ეკვივალენტი შეესატყვისებოდეს ქართულში, კერძოდ, *არა/არ* და *ვერ/ვერა*.

– Do you not recognize me? [ვერ მცნობ?]

– No, sir. [ვერა, სერ.]

– It wasn't you came yesterday? [შენ არ იყავი, გუშინ რომ მოხვედი?]

– No, sir. [არა, სერ.]

– Did you meet anyone? [შეხვედი ვინმეს?]

– No, sir [არა, სერ.]

– Is this the historical place the guide was talking about?

[ეს ის ისტორიული ადგილია, გიდი რომ გვესაუბრებოდა?]

– No, it isn't. [არა, ეს ის არ არის.]

- Do you agree with the manager's decision? [ეთანხმები უფროსის გადაწყვეტილებას?]
- No, I don't. [არა, არ ვეთანხმები.]

*არა/ნო*-ს ერთ-ერთი ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობა არის შეკითხვაზე უარყოფითი პასუხის გაცემა.

- Do you believe in UFOs? [გჯერა ამოუცნობი მფრინავი ობიექტების?]
- No, I don't . [არა, არ მჯერა.]

- There's no use crying over spilt milk. [გაფუჭებულ საქმეზე ტირილი არ ღირს.]

- This statement is of no importance. [ამ დებულებას არანაირი ღირებულება არ აქვს.]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ *არა/ნო*-მ შეიძლება უარყოს როგორც ცალკეული სიტყვა ან წინადადება, ასევე მთელი აზრ-ცი და ტექსტიც კი.

### **ემფატიკური უარყოფა**

ხშირად *არა/ნო* ორმაგდება ემფატიკურობის გამოსახატავად:

- Do I have to explain this to you? [უნდა აგიხსნა ეს?]
- No, no, everything's clear. [არა, არა ყველაფერი გასაგებია.]
- Carry on. [განაგრძეთ.]
- No, no, after you. [არა, არა. თქვენ შემდეგ.]
- No, no, you first. [არა, არა, ჯერ თქვენ.]

- Here we go. Be seated, sir, I beg of you. [აი, ასეც. გთხოვთ, დაბრძანდით.]

- No, no, I wouldn't think of it! [არა, არა. არც იფიქროთ!]

სხვა ნეგაციის გამომხატველი სიტყვის შემდეგ *არა/ნო* ასევე გამოიყენება ემფატიკურობისთვის.

- No, you may not go with them. [არა, მათთან ერთად არ შეგიძლია წასვლა.]
- No, I'm not coming. [არა, მე არ მოვდივარ.]

### **აკრძალვის გამოხატვა**

*არა/no* ხშირად გამოიყენება აკრძალვის ან უარყოფის გამომხატველი ბრძანებების დროს.

- No, you are not allowed to enter the room. [არა, ოთახში შესვლის უფლება არ გაქვთ.]
- No, don't do that! [არა, ეგ არ გააკეთოთ!]

### **არა/no როგორც გამამძლიერებელი / ინტენსიფიკატორი**

*არა/no* გამოიყენება როგორც ინტენსიფიკატორი შემდეგი ტიპის წინადადებებში:

- No, no... I didn't mean it. [არა, არა, არ მინდოდა ასე.]
- No, no. Don't think it is a simple matter. [არა, არა. ეს უბრალო საქმე არ გეგონოთ.]
- No, no. That's impossible! [ოჰ, არა ეს ყოველად შეუძლებელია!]

როდესაც *არა/no* გამოიყენება შორისდებულთან ერთად, ის ასევე გამამძლიერებლის როლს ასრულებს:

- You take me for Godot. [გოდოტი გგონივარ?]
- Oh no, sir, not for an instant, sir [ოჰ არა, ერთი წუთითაც კი არ მიფიქრია, სერ.]
- We came here yesterday. [ჩვენ აქ გუშინ მოვედით.]
- Ah no, there you're mistaken. [ო, არა, აი მაგაში ცდები.]
- Oh no, that can't be real! It's you! [ო არა, თვალეებს არ ვუჯერებ! ეს შენ ხარ!]

## აზრის შერბილებული ნათქვამით გამოხატვა

არა/*no* ხშირად გამოიყენება აზრის შერბილებულად გამოსახატავად. ასეთ შემთხვევებში ის პრაგმატულობის დამატებით ფუნქციას იძენს და გამოხატავს, ერთი მხრივ, ზრდილობიან გამონათქვამს, მეორე მხრივ კი – ირონიასა და სარკაზმს კონტექსტის გათვალისწინებით.

- It's no easy work. [იოლი საქმე არ არის].
- That's no mean achievement. [პატარა მიღწევა არ არის.]
- He is no scholar. [არანაირი მეცნიერი ის არ არის].
- My husband is no dancer. [ჩემი ქმარი არანაირი მოცეკვავე არ არის].

ზემოაღნიშნულ წინადადებებს შეუძლიათ როგორც ზრდილობიანობის, ასევე ირონიისა და სარკაზმის გამოხატვა სხვადასხვა კონტექსტში.

ქვემომოყვანილ წინადადებებში კი არა/*no* საპირისპირო დადებით დებულებებს გამოხატავს.

- It is not a bad thing, *meaning* it's a good thing. [ეს ცუდი რამ არ არის.=ეს კარგი რამეა.]
- He's no coward. = He is a brave man. [ის ლაჩარი არ არის.= ის მამაცია.]
- It troubled him not a little. [ცოტათი არ ადარდებდა. = ძალიან ადარდებდა].
- He found that this was no easy task. [მიხვდა, რომ ადვილი საქმე არ იყო. = ძნელი საქმე იყო.]
- He was not without taste. [უგემოვნო არ იყო.]

კვლევის შედეგად შეიძლება ითქვას: მიუხედავად იმისა, რომ უარყოფითი სტრუქტურები ამ უკანასკნელ მაგალითებში უფრო ემფატიკურია, სემანტიკურ-ლექსიკური დატვირთვის თვალსაზრისით, მათი დადებითი ექვივალენტები უფრო ძლიერი აღმოჩნდა.

## **პაუზის შემავსებელი არა/იო**

როგორც კვლევამ გამოავლინა, არა/იო ხშირად პაუზის შემავსებლად გამოიყენება. ასეთ შემთხვევებში ის მიუთითებს მსმენელის სურვილზე ჩაერთოს საუბარში, ან რეაგირება მოახდინოს მოსაუბრის მიერ გამოთქმულ აზრზე. ასეთ დროს არა/იო არ არის ლექსიკურად დატვირთული. ის უფრო საუბრის გაგრძელების და უხერხული სიჩუმის თავიდან აცილების მიზნით გამოიყენება.

– Ah! Let me see...no...I'm afraid, I ...no I ...don't seem to...[ო, აბა ვნახო... არა... ვშიშობ, რომ არა ... არა მგონია, რომ...]

– To treat a man...like that...I think that...no...a...human being... no ...it's scandal! [ადამიანის ასე მოპყრობა, ვფიქრობ, ... რომ ... არა ... ადამიანის ... არა – ეს სკანდალია!]

არა/იო-ს ასეთი ხშირი გამოყენება შეიძლება აიხსნას იმ ფაქტით, რომ ის ხშირად შორისდებულის ფუნქციას იძენს.

## **არა/იო შორისდებულის ფუნქციით**

კვლევამ გვიჩვენა, რომ არა/იო ხშირად გამოიყენება მოსაუბრეების ემოციების (შიშის, შოკის, განცვიფრების, წამოძახილის), გრძნობებისა და მათი საკითხისადმი დამოკიდებულების გამოსახატავად. ასეთ დროს არა/იო შორისდებულის ფუნქციას იძენს.

– No, you don't say so! [არა, ასე ნუ ლაპარაკობ!]

– No not talk me into it. No! [ამაში ნუ დამარწმუნებ. არა / ნუ!]

## **არა/იო ფატიკურ კომუნიკაციაში**

საუბრისას არა/იო ხშირად ფატიკურ ფუნქციას იძენს. ქართული ენა ამ მხრივ არა/იო-ს უფრო ხშირად იყენებს, ვიდრე ინგლისური. ქართული სოციოლინგვისტური სპეციფიკიდან გამო-

მდინარე, არა ქართულში ხშირად დათანხმების წინადადებებშიც კი გამოიყენება – ისეთ შემთხვევებში, რომლებიც ინგლისურისთვის მიუღებელია.

– არა, გასაგებია ყველაფერი. როგორ არა. [\*No, everything is clear. Of course, no.]

– არა, თქვენ სავსებით სწორი ბრძანდებით. არა, რა თქმა უნდა ყველაფერი სწორია. [\*No, you are absolutely right...no, of course, everything is true.]

### **არა/no და რელევანტურობის თეორია**

ხშირად არა/no-ს შემცველი სტრუქტურები ორაზროვან ინტერპრეტაციას იწვევს კომუნიკანტებში. ეს წარმოდგენს საინტერესო მოვლენას რელევანტურობის თეორიის თვალსაზრისით, რაც მსმენელი მოსაუბრის გამონათქვამის ინტერპრეტაციისთვის მინიმალურ ძალისხმევას გულისხმობს. რელევანტურობის პრინციპი ასეთ შემთხვევებში ირღვევა.

– არ მოდის შენი მეგობარი ჩვენთან ერთად? [Isn't your friend coming with us?]

– არა, მოდის. / არა, არ მოდის. [\*No, he is coming, *meaning* Yes, he is coming, / No, he is not coming].

\*\*\*

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ – თუ წერითი კომუნიკაციისას არა/no-ს საშუალებით ხდება დებულების უარყოფა, ზეპირმეტყველებაში ის იძენს შორისდებულის ფუნქციას და გამოხატავს კომუნიკანტთა ემოციებს. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ქართულში არა ხშირად ფატიკური კომუნიკაციის ასაგებად გამოიყენება, რაც კომუნიკანტების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე ან ფაქტებზე რეაქციის გამოხატვის სურვილზე უფრო მიუთითებს, ვიდრე გამოთქმული მოსაზრებების უარყოფაზე. ასეთ შემთხვევებში, ინფორმაციის თეორიის თანახმად, არა/no ახალი

თემის შემომყვანი კი არა, არსებული თემის განვითარების საშუალებაა.

აღსანიშნავია ისიც, რომ კომუნიკაციის ტენდენცია უფრო მეტი ფამილიარობის (არაოფიციალურობის) გამოსახატავად განაპირობებს უარყოფითი სტრუქტურების მზრდ გამოყენებას, რაც თანამედროვე კომუნიკაციის ერთ-ერთ მახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს.

სტატიის დასასრულს შეიძლება ითქვას, რომ *არა/ნო*-ს გამოყენებისას ვლინდება ადამიანური ბუნების უნივერსალური (ე. ი. წინააღმდეგობის გაწევის), მრავალმხრივი რელატივისტური ნაირსახეობანი. *არა/ნო* ავლენს როგორც საწინააღმდეგოს გამოხატვის უნივერსალურ ფუნქციას, ასევე ემოციების, დამოკიდებულებისა და კომუნიკაციური ეფექტურობის წარმოჩენის რელატივისტურ თვისებებს.

## ლიტერატურა

Asatiani, Rusudan & Gonet, W. Semantics and Typology of Yes/No Particles, abstract, *Tbilisi symposium II "Language, Logic, Computation"*, 16-20 September, 1997.

Asatiani, Rusudan. (2007): Typology and semantics of <yes / no> systems, in *Issues of Linguistics, I-II*, Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Humanities, Tbilisi State University Press, 25-37.

[http://www.press.tsu.ge/GEO/internet/elektronuli%20journals/Issues\\_of\\_Linguistics\\_1-2.2007.pdf](http://www.press.tsu.ge/GEO/internet/elektronuli%20journals/Issues_of_Linguistics_1-2.2007.pdf)

Biber, Douglas, et al. (1999): *Longman grammar of spoken and written English*. Longman, Pearson Education Limited.

Boeckx, Cedric. (2006): *Linguistic minimalism. Origins, concepts, methods, and aims*. Oxford University Press.

Gee, James Paul. (1999). *An introduction to discourse analysis. Theory and method*. Routledge, Taylor and Francis group.

Givon, Talmy. (1971): *Negation in language: pragmatics, function ontology*. Working papers on language universals.



Gumpertz, J.J. (2008). Sociocultural knowledge in conversational inference. In A. Jaworski and N. Coupland (Eds.) *The Discourse Reader*. Routledge, Taylor and Francis Group.

Horn, Laurence R. (1989). *A Natural History of Negation*. Chicago: The University of Chicago Press.

Jackendoff, Ray (2009). *Language, consciousness, culture. Essays on mental structure*. A Bradford Book. The MIT Press, Cambridge, Massachusetts, London, England.

Malinowski, Bronislaw. (1999): On phatic communion, in Adam Jaworski & Nikolas Coupland (eds.) *The Discourse Reader 1999*, Routledge: Taylor and Francis Group, 296-298.

Medina, Jose. (2005): *Language. Key concepts in philosophy*. Continuum: London, New York.

Miestamo, Matti. (2005). Standard Negation: The Negation of Declarative Verbal Main Clauses in a Typological Perspective. *Empirical Approaches to Language Typology 31*. Berlin: Mouton de Gruyter.

Norris, S. and Jones, R. H. (2005). *Discourse in action. Introducing mediated discourse analysis*. Routledge, Taylor and Francis Group.

Pomerantz, A. (2008). Preference in conversation: agreeing and disagreeing with assessments. In A. Jaworski and N. Coupland (Eds.) *The Discourse Reader*. Routledge, Taylor and Francis Group.

Wilson, Deirdre & Sperber, Dan. (2002a): Truthfulness and relevance, in *Mind* 443, 583-632.

Wilson, Deirdre & Sperber, Dan. (2002b): Relevance theory, in *UCL Working Papers in Linguistics* 14, 149-28.

Mariam Orkodashvili

## **Lexicosemantic and Cognitive Features of Negation**

### Summary

The research states that negation and the most commonly used negating lexical unit *ara* “no” (i.e. *ara* “no” is the most frequently used form as opposed to other forms of negation) is used not only for expressing negation, whether of a fact, belief or of a communicant’s ideas, but for expressing a speakers’ attitude towards a certain condition or situational context. In this respect, the language reveals not only its communicative and expressive functions, but its cognitive function as well. This latter case relates a person’s linguistic performance to his/her mental disposition, and is an important part of understanding a thought process through linguistic analysis.

The analysis of negation also provides a window on interaction between grammar and meaning. Moreover, it considers how grammatical and structural processes interact with meaning (semantics) and human interaction processes (pragmatics).

The data was gathered from dictionary entries, examples from literary, scientific and scholarly texts, media discourse, and formal and informal conversations in different contexts and settings. The opinions of the respondents regarding the usage of the lexical unit are considered as well. In total, 500 different types of texts and conversation instances have been analyzed and discussed.

Theoretical and conceptual basis of the research is relevance theory, communication theory, speech act theory and information theory.

The laxity that negation (*ara* “no”) allows to its semantic, pragmatic and discursive meanings and functions makes it an interesting issue for crosscultural, psycholinguistic and sociolinguistic analysis. The contexts and frequencies of the usage of *ara* “no” across languages and cultures can be interesting venues for looking into the multiple manifestations of universal human nature.

The present research has revealed that negation (i.e. structures with *ara* “no”) is often used to express feelings and emotions such as fear, shock, surprise, exclamation, etc. In this case it acquires the function of an interjection. When used as an interjection, a single unit *ara* “no” can negate the whole sentence, paragraph or discourse. In such cases *ara* “no” takes on the linguistic, pragmatic and extralinguistic function and can even be used as a free-standing discourse-builder.

The research assumes that the modern tendency towards informalization of communicative acts is leading towards even higher frequency of the usage of *ara* “no”. In the cases of long discourses, the unit *ara* “no” can easily signal the attitude of a speaker towards a certain matter or his/her mood. In this case, *ara* “no” acquires the pragmatic function and can even serve as an extralinguistic component of a discourse that makes it possible to elicit the information about the characters, dispositions and attitudes of communicants.

However, it should be noted that in Georgian the lexical unit *ara* can produce the cases that lend to dubious interpretations unless it is followed by a main verb that clarifies the answer.

The traditional debates between universalist and relativist standpoints in linguistics might be further expanded using the examples of similarities and differences in the usage and functioning of negation (*ara* “no”). Universal human nature that is often inclined towards contradicting and questioning theories, statements and ideas, finds its multiple relativist manifestations in the usage of *ara* “no” in different languages. Whether used as an emphatic linguistic tool, a conversation starter or expressive device, *ara* “no” bears universalist base-meaning of contradiction and relativist manifestations of emotions, attitudes and communicative power simultaneously.

The above conclusions and findings could appear helpful in further development of the second language acquisition theory and practice.